ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი

2019 წლის
საანგარიშო
პერიოდი

შინაარსი

აღწერა 2

ზოგადი შეფასება 3

სამუშაო პროცესის შეფასება 3

მონიტორინგი მიმართულებების მიხედვით 4

უნივერსიტეტის რესურსების მართვის ეფექტური სისტემის განვითარება 4

ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლება-შეფასების მეთოდებისა და სწავლების ხარისხის მდგრადი განვითარება და ინტერნაციონალიზაცია 8

სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის, ხარისხის ამაღლებისა და პერსპექტიული აბიტურიენტების მოზიდვის ეფექტური სისტემის გამართვა და განხორციელება 13

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მდგრადი განვითარება და ეფექტური იმპლემენტაცია 15

ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება 17

ინოვაციური/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის ეფექტური სისტემის განვითარება და ადგილობრივ/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარება.....20

სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება 26

ევროპის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ 2019 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი

აღწერა:

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის და მის შესაბამისად გაწერილი წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს 2019 წლის საანგარიშო პერიოდის მანძილზე.

მონიტორინგის მიზანია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით მოახდინოს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა შესრულების ხარისხის შეფასება, სამუშაო პროცესში იდენტიფიცირებული ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, მათი ასახვა მონიტორინგის ძირითად მიგნებებში. ძირითადი მიგნებებიდან გამომდინარე რეკომენდაციების მომზადება.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად განსაზღვრული იყო შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

- უნივერსიტეტის რესურსების მართვის ეფექტური სისტემის განვითარება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლება-შეფასების მეთოდებისა და სწავლების ხარისხის მდგრადი განვითარება და ინტერნაციონალიზაცია;
- სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის, ხარისხის ამაღლებისა და პერსპექტიული აბიტურიენტების მოზიდვის ეფექტური სისტემის გამართვა და განხორციელება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მდგრადი განვითარება და ეფექტური იმპლემენტაცია;
- ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
- ინოვაციური/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის ეფექტური სისტემის განვითარება და ადგილობრივ/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარება;
- სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება.

მონიტორინგის პერიოდში აღნიშნული მიმართულებებით სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითეოულ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს გადაეგზავნა სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული მონიტორინგის ფორმა, სადაც უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები ახდენდნენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასებას, აღნიშნულის ვერიფიკატორების წარმოდგენას, ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიზეზების იდენტიფიცირებას. თავის მხრივ, ხდებოდა უნივერსიტეტის

ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მეორეული ვერიფიკაცია, ცვლადებსა და ინდიკატორებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დეტერმინირება და ანალიზი.

მონიტორინგის პროცესი იყო ღია, მასში იყო ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეული, რომელთაც ქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ ინფორმაცია არამხოლოდ საბოლოო, არამედ შუალედური შეფასების ეტაპზეც და სამუშაო რეჟიმში წარმოედგინათ მათი ხედვები აღნიშნულ შეფასებასთან დაკავშირებით. მონიტრორინგი განხორციელდა ოთხ ეტაპად და საბოლოო ანგარიში წარმოადგენს ოთხი კვარტალური მონიტორინგის შედეგად მიღებული ანალიტიკური პროდუქტის შეჯერების შედეგს.

ზოგადი შეფასება:

ოთხი კვარტლის მონიტორინგის შედეგას შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა წარმატებით გაართვეს თავი დასახული ამოცანების შესრულებას. სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა უდიდესი ნაწილი სრულად შესრულდა, ხოლო ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა. არ იკვეთება არც ერთი შეუსრულებელი ამოცანა, ან დაუძლეველი დაბრკოლება. უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, მიუხედავად მცირედი ხარვეზებისა აჩვენეს უკიდურესად მაღალი რისკ რეზისტენტულობა, მოქნილობა და ცვალებად გარემოსთან ადაპტირებადობის მაღალი ხარისხი. ეს კი თავს მხრივ იძლევა საშუალებას გადაიხედოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და სამწლიანი სამოქმედო გეგმები, განისაზღვროს დამატებითი მიმართულებები და ამოცანები, უნივერსიტეტის მისიისა და დეკლარირებული მიზნების შესაბამისად.

სამუშაო პროცესის შეფასება:

მონიტორინგის პროცესმა აჩვენა, რომ როგორც სტრატეგიული განვითარების, ისე სამოქმედო გეგმაში არსებობს სივრცე გაუმჯობესებითვის. კერძოდ შესაძლოა მოხდეს აღნიშნული გეგმების ოპტიმიზაცია იმგვარად, რომ მათი შესრულების მონიტორინგი, პორცესში იყოს მარტივი და დაჭირდეს ნაკლები დროის, ინტელექტუალური და ადამიანური რესურსი. ამავდროულად შესაძლოა გადაიხედოს მიდგომები უშუალოდ სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით, მოხდეს ცალკეული მიზნების გამსხვილება. მაგალითად, შესაძლოა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის ნაწილი ინკორპორირებული იქნას უნივერსიტეტის ბრენდის განვითარების ნაწილში, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ბრენდის განვითარება ვერ იქნება მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით გადადგმული ღონისძიებების ერთობლიობა, ვერ იქნება მხოლოდ სარეკლამო და მარკეტინგული კამპანია, არამედ უნივერსიტეტი, როგორც

ბრენდი ვერ შედგება სათანადო სტუდენტური კონტიგენტის გარეშე, რომლებც რეალურად ქმნიან უნივერსიტეტის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად საუნივერსიტეტო საზოგადოებას.

ასევე გამოიკვეთა აუცილებლობა სასწავლო პროცესის ცალკე სტრატეგიულ მიმართულებად გატანისა, რამდენადაც ამ მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები საკმაოდ კომპლექსურ ხასიათს ატარებს და პროცესის ეფექტური მართვის თვალსაზრისით სასურველია მოხდეს მასზე დამატებითი აქცენტირება.

იმავდროულად ცალკეული აქტივობის ინდიკატორები საჭიროებდა მეტ კონკრეტიზაციას. სასურველია სამოქმედო გეგმაში მინიმმამდე დავიდეს იმგვარი აღწერები, როგორიცაა ეფექტური, ოპტიმალური და აშ. ან მოხდეს დეტალური განსაზღვრა იმისა, თუ რა კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ითვლება სისტემა, ან პროცესი ეფექტურად, რა წარმოადგენს ოპტიმალურობის მსაზღვრელს. საჭიროა ინდიკატორების შემდგომი კონკრეტიზაცია.

მონიტორინგი მიმართულებების მიხედვით

უნივერსიტეტის რესურსების მართვის ეფექტური სისტემის განვითარება

აღნიშნული მიმართულება მოიცავდა შემდეგ ამოცანებს:

1. **ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება და დანერგვა;**
- **ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება;**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება, გაიწერა მისი დანერგვის სამოქმედო გეგმა და წარმატებით დაიწყო მისი იმპლემენტაცია.

- **ადმინისტრაციული პერსონალის მართვის სისტემის ოპტიმიზაცია;**

საანგარიშო პერიოდში განახლდა ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობების აღწერილობა, ჩატარდა შეხვედრები, მიღებული იქნა აღნიშნულის შესახებ რეკომენდაციები ცალკეული სტრუქტურული ერთეულებიდან. განისაზღვრა კვალიფიკაციათა ჩარჩო. შემუშავდა თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის სისტემა.

- **ადმინისტრაციული პერსონალის მართვის სისტემის დანერგვა;**

დაინერგა თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების სისტემა. ძირითად გამოწვევას ამ მიმართულებით წარმოადგენდა სისტემის ტექნიკური გამართულობა, თუმცა საანაგრიშო პერიოდისთვის აღნიშნული პრობლემა აღმოფხვრილია. თანამშრომლები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას მათ მიერ სამსახურში გატარებული სამუშაო საათების შესახებ. ასევე

განხორციელდა თანამშრომელთათვის განახლებული ფუნქცია მოვალეობების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

- **გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ხარისხისა და ეფექტურობის ასამაღლებლად;**

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მიმართულებით:

2. ადმინისტრაციული პერსონალისთვის განხორცილდა შემდეგი სწავლებები: MS OFFICE, ეფექტური კომუნიკაცია, Survey monkey-ს ტრენინგი, სახანძრო უსაფრთხოება.
3. ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგად გამოვლინდა რეიტინგით მაღალი შეფასების მქონე თანამშომლები და 18 მათგანი ერთჯერადი პრემირების წახალისდა.
4. განხორციელდა ფინანსური მენეჯერის ინდივიდუალური პროფესიული კურსების დაფინანსება.
5. სამართლის დეკანის თანაშემწეს დაუფინანსდა მედიასთან კომუნიკაციის პროფესიული კურსის.
6. დაიწყო ინგლისური ენის ორი დონის კურსის განხორციელება (2 და 4 თვიანი) ადმინისტრაციული პერსონალისთვის. აღნიშნულ კურსებს გადის უნივერსიტეტის 17 თანამშრომელი.

- **აკადემიური პერსონალის მართვის სისტემის დანერგვა;**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობისა და ასევე, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება. აკადემიური საქმიანობა შეფასდა როგორც სტუდენტების, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის (დეკანი, საგამოცდო ცენტრი, სასწავლო პროცესის მენეჯერები, პროგრამის ხელმძღვანელი) მიერ. შეფასების შედეგების საფუძველზე დადგინდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეიტინგი და განხორციელდა ფაკულტეტების მიხედვით რეიტინგში პირველ სამ ადგილზე გასული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაჯილდოვება.

- **გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ხარისხის ასამაღლებლად.**

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის დამატებითი საჭიროებების იდენტიფიცირება არ მომხდარა.

2. **ფინანსური რესურსების დაგეგმვისა და მართვის პროცესის განვითარება**

- **ბიუჯეტის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგისა და კორექტირების პროცედურების შემუშავება**

მიმდინატე საანგარიშო პერიოდში ფინანსური სამსახურის ზედამხედველობით შემუშავდა და გაიწერა ბიუჯეტის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და კორექტორების პროცედურები.

- **ბიუჯეტის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგისა და კორექტირების პროცედურების დანერგვა**

ამოცანის შესაბამისად განხორციელდა მათი დანერგვა.

- **უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის კონტროლის სისტემის შემუშავება**

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ფინანსების შეფასების და ანალიზის მეთოდოლოგია.

- **ფინანსური რესურსების აღრიცხვა/ანგარიშგების შეფასება და გაუმჯობესება**

ფინანსური სამსახური სისტემატურად ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს. უნივერსიტეტში რეგულარურად ტარდება შიდა აუდიტი. ფიანსური კონტროლის მექანიზმების იმპლემენტაციის შედეგად ფიანსური დარღვევები არ არის გამოვლენილი.

3. **საქმიანობის რისკების შეფასებისა და მართვის სისტემების განვითარება**

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი სახის აქტივობები:

- **საქმიანობის რისკების იდენტიფიცირება**
- **ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკის განვითარება**
- **ბიზნეს უწყვეტობის სამოქმედო გეგმის ფორმირება**
- **ბიზნეს უწყვეტობის სამოქმედო გეგმის დანერგვა**
- **ბიზნეს უწყვეტობის სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის ანალიზი და შეფასება**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის რექტორის ზედამხედველობით, სტრატეგიული განვითარების მენეჯერისა და უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობის მაღალი ხარისხით განხორციელდა უნივერსიტეტის ბიზნეს-უწყვეტობის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება, რომელსაც დაეყრდნო უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად იქნა გაწერილი სრატეგიული, ოპერაციული, ფინანსური და ფორს-მაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე რისკები. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შეფასების ეტაპზე, რომელიც 2019 წლის დეკემბერში განხორციელდა, მოხდა რისკების გადაფასება. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა საგრძნობ ნაწილს წარმოადგენენ სტუდენტები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონიდან უნივერსიტეტის სტარტეგიული დაგეგმვის გუნდის მიერ გაიცა რეკომენდაცია ეპიდემიებთან/პანდემიებთან დაკავშირებული რისკების ხდომილების ალბათობის ზრდის და შესაბამისი პრევენცული ღონისძიებების დაგეგმვის. აღნიშნულის შედეგად უნიერსიტეტმა შეძლო დროის უმოკლეს ვადებში ეპასუხა არსებული გამოწვევებისთვის, მოეხდინა ფინანსური რესურსების მობილიზება იმგვარად საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც

უზრუნველეყო ყველა თანამშრომლის დისტანციური მუშაობა, მათთვის ხელფასის შენარჩუნება და უწყვეტ რეჟიმში წარემართა სასწავლო პროცესი.

4. **მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ოპტიმალური გამოყენება და განვითარება**

- **უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების გაფართოება და/ან გაუმჯობესება;**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ხარისხი. მაგალითად ევროპის უნივერსიტეტის ადმინისრაციული კორპუსი სრულად ადაპტირდა შეზღუდული შესაძლებლობების და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა მოთხოვნილებებზე, განხორციელდა ლიფტის მონტაჟი. ასევე ჩატარდა სამუშაო სივრცეების ოპტიმიზაცია, განხორციელდა აუდიტორიების რემონტი. გაიზარდა უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება. დასკვნით ფაზაშია უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის სამშენებლო სამუშაოები.

- **საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა/განვითარება;**

საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განახლდა ინფრასტრუქტურა, კერძოდ განხორციელდა საკონფერენციო და სასწავლო სივრცეების ინვენტარიზაცია. გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით შეიცვალა, განახლდა სასწავლო ინვენტარი და ტექნიკა.

- **უძრავ/მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია და გამოყენების ეფექტურობის ანალიზი;**

ჩატარდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ინვენარიზაცია.

- **საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესება და მართვის პოლიტიკის ოპტიმიზაცია;**

პროგრამების განახლების პარალელურად განახლდა საბიბლიოთეკო რესურსი. გაიზარდა წვდომა საერთაშორისო აკადემიურ ბაზებთან. ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტებს, ისევე როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს საშუალება ისარგებლოს აღნიშნული ბაზებით სახლიდან გაუსვლელად.

- **საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება;**

განხორციელდა საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსების ბაზის გაუმჯობესება, რომელიც დაიგეგმა საინფორმაციო ტექნილიოგიების სამსახურის მიერ განხორციელდებული ინვენტარიზაციის საფუძველზე. აღნიშნულ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები კომპანია „ორიენტ ლოჯიკთან“ ლიცენზირებული ანტივირუსის შეძენასთან დაკავშირებით.

ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლება-შეფასების მეთოდებისა და სწავლების ხარისხის მდგრადი განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

აღნიშნული სტრატეგიული მიმართულება ძირითადად ფოკუსირებულია სასწავლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებაზე და მოიცავს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

1. **არსებული სასწავლო პროგრამების შეფასება და განვითარება, უახლესი ცოდნის ინტეგრირება ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად**

მოცემული ამოცანის ქვეშ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა შედეგ აქტივობებს:

- **დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, განახლება და დანერგვა მედიცინის ახალი დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახურის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და სხვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, აღნიშნული ღონისძიება განხორციელდა.

- **დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება და რეაკრედიტაცია**

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამა რეაკრედიტირებულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის. სამოქმედო გეგმის შემდგომ ეტაპზე უნდა მოხდეს აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციათა გათვალისწინება.

- **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასება და რეაკრედიტაცია**

საანგარიშო პერიოდისთვის მოცემული აქტივობა შესრულებულია.

- **პროგრამირების და ვებდეველოპმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასება და რეაკრედიტაცია**

ევროპის უნივერსიტეტი მოცემული დასახელებით არ ახორციელებს სასწავლო პროგრამას. ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2026 წლამდე.

- **სამართლის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასება და რეაკრედიტაცია**

სამართლის საბაკალავრო პროგრამას 2019 წლის 17 დეკემბერს მიენიჭა აკრედიტაცია. შენარჩუნებული იქნა აკრედიტაციის უწყვეტობა.

- **უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შეფასება, შემდგომი გაგრძელების საჭიროების დადგენა და შესაბამისად, მოქმედი საგანმანათლებლო სტანდარტების მიხედვით განახლება**

მოცემული ღონისძიება ნაწილობრივ იქნა შესრულებული, კერძოდ: შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამების გაგრძელების საკითხი. პროგრამის გაუქმების ან ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელების შესახებ მსჯელობის პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მომზადდა დასაბუთებული დასკვნა და ანაგარიში იმის თაობაზე თუ რის საფუძველზე შეიძლება იქნას მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება. ანგარიშების საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მმართველი საბჭოს სხდომაზე. პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროგრმაზე არ ირიცხებოდა არცერთი აქტიური სტატუსის მქონეს ტუდენტი, ხოლო სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს მიეწოდა ინფორმაცია პროგრამის გაუქმებისა და მობილობით სარგებლობის ვადების შესახებ. პროგრმის ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ მოხდა როგორც სტატუსშეჩერებული, ასევე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების ინფორირება. აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაშია მოყვანილი პროგრამები, რომლებმაც 2018-19 აკადემიურ წელს გაიარეს აკრედიტაცია, მიმდინარეობს ყველა სხვა მოქმედი (მათ შორის ავტორიზებულ რეჟიმში მოქმედი) პროგრამების განახლების პროცესი.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ნაწილობრივი შესრულების მიზეზად დასახელებულია შემდეგი გარემოებები და წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაცია აქტივობის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მედიცინის ფაკულტეტის ფარგლებში მიმდინარეობს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) შეფასებისა და განახლების პროცესი რეაკრედიტაციის მიზნით.
- მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების რუკა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა არაუგვიანეს 2020 წლის მარტისა უნდა წარვადგინოთ რეაკრედიტაციის მიზნით, ასევე, ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე მიზანშეწონილია პროცესი წარიმართოს 2019 წლის მე-4 და 2020 წლის პირველ კვარტალში.

2. **საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია, ინტერნაციონალიზაცია, გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების განვითარება**

აღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობების კუთხით საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის შემდეგი მდგომარეობა იკვეთება:

- **საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გადახედვა და დანერგვა**

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ძირეული ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიმართულებით. განახლდა, როგორც სამსახურის შემადგენლობა, ისე სტრუქტურა. ადაიხედა ინტერნაციონალიზაციის არსებული მიდგომები. უნივერსიტეტის ძალისხმევა მიმართულია საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებისკენ. მნიშვნელოვან პრიორეტატ დასახელდა უნივერსიტეტის ჩართვა Erasmus-ის პროექტებში.

- **სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროექტების რაოდენობის გაზრდა**

აღნიშნული მიმართულებით საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ გაწეული ძალისხმევის მიუხედავად კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონე.

- **დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაცია ENQA და WFME მიერ აღიარებულ სააგენტოში**

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფრომაციით აღნიშნული ღონისძიებები განხორციელებულია.

- **საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპეტენციის გაზრდა**

საანგარიშო პერიოდში მოცემული მიმართულებით მთელი რიგი პროგრამების მიხედვით გაიზარდა ინგლისური ენის კომპტენეცია. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სტუდენტებს ქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული გაცვლით პროგრამებში და რეალურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობა.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განახლების პროცესში ინგლისური ენის სწავლის შედეგად განისაზღვრა C1 დონე, შესაბამისად გაიზარდა პროგრამაში ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების ხვედრითი წილი.

3. **სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური, თანამედროვე მეთოდების, მათ შორის დისტანციური საგანმანათლებლო კურსების პრაქტიკაში დანერგვა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ინვენტარით**

აღნიშნული ამოცანა ითვალისწინებდა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

- **სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის დაფუძნება და ტრენერთა მომზადება**
- **სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური, თანამედროვე მეთოდების დანერგვა**

- **დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სამედიცინო სწავლებისას ფართოდ გამოყენებადი სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების დანერგვა**

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის გუნდმა წარმატებით გაართვა თავი სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის დაფუძნება. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის დაფუძნებულია ცენტრი, შერჩეული და გადამზადებულია ტრენერები, შექმნილია ტრენინგების მოდული. პრაქტიკულად ყველა ფაკულტეტზე ჩატარებულია ტრენინგების სერიები სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების მიმართულებით. აღნიშნული მიმართულებით მუშაობის პროცესში შესწავლილი იქნა, როგორც ადგილობრივი, ისე - საერთაშორისო პრაქტიკა. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან სინერგიით განხორციელდა საჭიროებების კვლევა და ანალიზი და ამის შედეგად განისაზღვრა ტრენინგების თემა. ტრენინგებზე გავლილი საკითხები ასახული იქნა სილაბუსებში ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი საკუთარი სასწავლო პრაქტიკის ცენტრების/ლაბორატორიების დაფუძნება და გარე პრაქტიკის ბაზების დამატება**

აღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები მოიცავს:

- **მედიცინის ფაკულტეტზე ვირტუალური ლაბორატორიის მოწყობას**
- **იურიდიული მომსახურების ცენტრის დაფუძნება და მის საქმიანობაში სტუდენტების ჩართვას**
- **ბიზნეს საკონსულტაციო ცენტრის დაფუძნება და მის საქმიანობაში სტუდენტების ჩართვას**
- **IT LAB-ის განვითარებას**
- **საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის პრაქტიკის ცენრის დაფუძნება**
- **სამედიცინო კლინიკური ბაზების რაოდენობის გაზრდა**

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირველი აქტივობა წარმატებით იქნა შესრულებული, როგორც მეორე. შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში მიზანშეწონილია მოხდეს თითოეული მათგანის საქმინობის არეალის გაფართოება და გაძლიერება.

რაც შეეხება მესამე და მეოთხე აქტივობებს უნივერსიტეტში, ფაკულტეტზე მიმდინარე რეორგანიზაცის პროცესის შედეგად მოხდა მათი შეფერხება და მიზანშეწონილია შემდგომ საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობების განხორციელება.

რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკის ცენტრის დაფუძნებას, პროგრამის განახლების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის კომიტეტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, სავალდებულო პრაქტიკის სასწავლო პროიგრამიდან ამოღების შესახებ, რაც განპირობებულია შრომის ბაზრის თავისებურებით, ასევე კონკრეტული დისციპლინის მიმართულებით პრაქტიკის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის კონტროლთან დაკავშირებული სირთულეებით. შესაბამისად საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაზე პრაქტიკის ცენტრის დაფუძნების მიზანშეწონილობა გადაიხედა.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამედიცინო კლინიკური ბაზების რაოდენობა. საქართველოში გაფორმდა ხელშეკრულება სტომატოლოგიურ კლინიკა ჰებესთან. საანგარიშო პერიოდის მეოთხე კვარტალში კი ხელშეკრულებები დაიდო 11 ინდურ კლინიკასთან. შესაბამისად, უნივერსიტეტს გააჩნია კლინიკური ბაზების ფართო ქსელი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

5. **აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლების, აღმოფხვრისა და პრევენციის ეფექტური ღონისძიებების განხორციელება სწავლების ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით**

მოცემული მიმართულება მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის მოიცავდა ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა:

- **პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა**
- **აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება**

აღნიშნული მიმართულებით აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა განახორციელა ერთი მხრივ აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშეწყობის საინფორმაციო კამპანია, ასევე დანერგა პროგრამა Turnitin, რომლის მეშვეობითაც შემოწმდა დამამთავარებელი სემესტრის სტუდენტთა საკვალიფიკაციო ნაშრომები. ნაშრომის დაცვაზე ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი ანგარიშები. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტი არ გამოლენილა.

სამუშაო პროცესმა აჩვენა, რომ მოცემული მიმართულებით მიზანშეწონილია მოხდეს მუშაობის გააქტიურება. კერძოდ სასურველია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის აუცილებლობის პირობა წინასწარ იყოს ასახული აკადემიური კურსის სილაბუსებში, სადაც სტუდენტებს უწევთ ანალიტიკური ესსეს, რეფერატის, ან საკურსო ნაშრომის მომზადება. მნიშვნელოვანია, რომ

პლაგიატის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები არ მოიცავდეს მხოლოდ საკვალიფიკაციო (საბაკალავრო და სამაგისტრო) ნაშრომებს.

სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის, ხარისხის ამაღლებისა და პერსპექტიული აბიტურიენტების მოზიდვის ეფექტური სისტემის გამართვა და განხორციელება

აღნიშნული მიმართულებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდის მანძილზე ძირითად გამოწვევას წარმოადგენდა უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღებაზე დაწესებული შეზღუდვის მოხსნა, შესაბამისად სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის ამოცანები ფოკუსირებული იყო ამ მიზნის გარშემო და მოიცავდა შემდეგ ამოცანებს:

1. **სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ოპტიმიზირება და დანერგვა**

მოცემული ამოცანა გულისხმობს კომპლექსური ღონისძიებების ერთობას, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- **სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის არსებული მეთოდოლოგიის ანალიზი**
- **სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია**
- **სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა პროგრამების მიხდევით**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის არსებული მეთოდოლოგიის რევიზია, რის საფუძველზეც მოხდა აღნიშნული მეთოდოლოგიის განახლება. მოხდა თითოეულ თითოეულ პროგრამაზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის გამოთვლა. აღნიშნულის შემდეგ, მოცემულ მეთოდოლოგიაზე, ასევე საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ ტენდენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით განისაზღვრა სტუდენტთა მისაღები კონტიგენტი პროგრამების მიხედვით იმგვარად, რომ არ მომხდარიყო განახლებული მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით დადგენილი მაქსიმალური ზღვრული ოდენობის დარღვევა.

2. **უნივერსიტეტის კონტინგენტის მიღების შეზღუდვისაგან გათავისუფლება**

აღნიშნული ამოცანის შესასრულებელ აქტივობად განისაზღვრა:

- **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებისა და რჩევების ანალიზი და იმპლემენტაცია**
- **უნივერსიტეტის კონტინგენტის მიღების შეზღუდვისაგან გათავისუფლების და კონტინგენტის გაზრდის განაცხადის წარდგენა**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის მანძილზე განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის და ყველა რელევანტური სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების

დეტალური შესწავლა და ანალიზი. სტრუქტურულ ერთეულებს მიეცა კონკრეტული დავალებები რეკომენდაციატა პრაქტიკული იმპლემენტაციის მიზნით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილია კონტინგენტის მიღების შეზღუდვისგან გათავისუფლებისა და კონტინგენტის გაზრდის განაცხადები, მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშთან და რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად. შეზღუდვა მოხსნილია და სტუდენტთა კონინგენტი გაზრდილია 3000 სტუდენტამდე.

შესაბამისად უნივერსიეტმა აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი.

3. **საუკეთესო უნარების მქონე და მოაზროვნე აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვის მიზნით მრავალფეროვანი მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება**

უნივერსიტეტის კონტინგენტის მიღების შეზღუდვისგან გათავისუფლების პარალელურად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უნივერსიტეტის მარკეტინგული კამპანიის რევიზია საუკეთესო უნარების მქონე სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. სამუშაო პროცესმა აჩვენა, რომ აღნიშნულს საკვანძო მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის ბრენდის განვითარების თვალსაზრისით. შესაბამისად, მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმის რევიზიის პროცესში დადგეს საკითხი სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის ღონისძიებების უნივერსიტეტის ბრენდის განვიტარების სტრატეგიულ მიმართულებაში ინკორპორირების შესახებ.

მოცემული საანგარიშო პერიოდისთვის კი ამოცანა ფარავდა ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა:

- **მარკეტინგული კვლევის, Desk Research-ისა და WOM-ის მეშვეობით, იმ სკოლების ბაზის შექმნა, რომლებშიც სწავლასა და განვითარებაზე ორიენტირებული, აქტიური მოსწავლეეები და აბიტურიენტები სწავლობენ**
- **სოციალური ქსელებში, აბიტურიენტების ჯგუფებში გაწევრიანება და საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და ინტელექტუალური, გაცვლითი, შემეცნებითი პროექტების შესახებ, ასევე, უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული აკადემიური/კურიკულუმს გარე აქტივობების შესახებ აბიტურიენტებისათვის საინტერესო კონტენტის მომზადება და გაზიარება**
- **ციფრული მარკეტინგის (Digital Marketing) ინსტრუმენტების გამოყენებით უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა**

საანგარიშო პერიოდის მეოთხე კვარტლის ბოლოსთვის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ქონდა შემუშავებული კონკრეტული სკოლების ბაზა. ასევე მიმდინარეობდა მუშაობა მეორე და მესამე აქტივობის შესაბამისად მიმდინარობდა მუშაობა სტუდენტური კურიკულუმსგარე ღონისძიებების ვიზუალური მასალის დამუშავება. განხორციელდა საინფორმაციო კამპანია სოციალური ქსელების მეშვეობით.

ძირითად გამოწვევას წარმოადგენდა მოცემულ სამსახურში კადრების მაღალი დენადობა და რეორგანიზაცია, რამაც სამოქმედო გეგმის მოცემული ნაწილის გრაფიკიდან მცირედი ჩამორჩენა გამოიწვია.

4. **პერსპექტიული, სწავლაზე ორიენტირებული აბიტურიენტების / სტუდენტების მოზიდვა პარტნიორების მეშვეობით**

მოცემული ამოცანა ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ბრენდის განვითარების თვალსაზრისით. იგი გულისხმობს ისეთი ტიპის ღონისძიების ჩატარებას, როგორიცაა:

- **ოლიმპიადებსა და სხვა სახის ინტელექტუალურ ღონისძიებების ორგანიზება პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად**

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, აღნიშნული აქტივობა დაგეგმილია და განხორციელდება მომდევნო საანგარიშო პერიოდის მანძილზე.

5. **არსებული სტუდენტების კონტინგენტის სწავლის ხარისხის ამაღლება**

მოცემული ამოცანა აერთიანებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ზრდაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს. კერძოდ:

- **სემესტრის მანძილზე მოსაგროვებელ ქულათა მინიმალური ბარიერების ოპტიმიზაციას.**

აღნიშნული ღონისძიების იმპლემენტაცია დაიწყო 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან, თუმცა სამუშაო პროცესმა წარმოაჩინა ქულების მინიმალური ზღვრის გაზრდის აუცილებლობა და შესაძლებლობა, რაც გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტებს სჭირდებათ ადაპტაციის პერიოდი მიზანშეწონილია განხორციელდეს 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.

- **სემესტრული აქტივობის შიდა ბარიერების შესახებ გაზიარება**

ყველა სტუდენტმა, ასევე მოწვეული და აკადემიური პერსონალის თითოეულმა წარმომადგენელმა მიიღო ინფორმაცია სემესტრული შიდა ბარიერის შესახებ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ბარიერები აისახა ელექტრონულ სამუშაო ბაზაში.

- **უკეთ სწავლისა და სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის მიზნით საუკეთესო აკადემიური მოსწრებისა და აქტივობის მქონე სტუდენტებისთვის წახალისება**

საანგარიშო საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე 15-მა სტუდენტმა მიიღო ყოველთვიური სტიპენდია, სამმა სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში საზღვარგარეთ, ორმა სტუდენტმა გაიარა ერთთვიანი კლინიკური პრაქტიკა უნგრეთში, საუკეთესო აქტივობის მქონე 15 სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო NVAO-ს ტრენინგში ''Quality Assurance and Enhancement''.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მდგრადი განვითარება და ეფექტური იმპლემენტაცია

სამუშაო პროცესში გამოიკვეთა ერთგვარი დუბლირება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ნაწილში გაწერილი ღონისძიებებისა სხვა სტრატეგიული მიმართულებების ამოცანებთან და აქტივობებთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია 2020 წლის სამოქმედო გეგმაში, მოხდეს მოცემული მიმართულების რევიზია და მისი ინკორპორირება ისეთ მიმართულებებთან, როგორიცაა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, პროგრამების განვითარება და რესურსების ეფექტური მართვა.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მდგრადი განვითარების და ეფექტური იმპლემენტაციის სტრატეგიული მიმართულებით გაწერილი ამოცანების შესრულების ხარისხი შემდეგია:

1. **სასწავლო პროგრამების და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების განვითარება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით**

გულისხმობს ისეთი ღონისძიებების ერთობლიობას, როგორიცაა:

- **სწავლა/სწავლებისა და კვლევების ხარისხის შიდა კონტროლის მეთოდოლოგიის განვითარება**
- **სწავლა/სწავლებისა და კვლევის ხარისხის შიდა კონტროლის მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების დანერგვა**

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ევროპის უნივერსიტეტს აქვს სწავლა/სწავლების და კვლევების ხარისხის შიდა კონტროლის გაწერილი მეთოდოლოგია, რომელიც პრაქტიკაში გამოიყენება.

2. **სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის დახვეწა**

აღნიშნული ამოანა გულისხმობს შემდეგს:

- **სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის სანდო, ეფექტიანი და ავტომატიზირებული სისტემის ოპტიმიზაცია**

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის აღნიშნული პროცესი განხორციელების აქტიურ ფაზაში იყო ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სინერგიული მუშაობით. კმაყოფილების კვლევა მიმდინარეობდა ელექტრონული მონაცემთა ბაზების მეშვეობით. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, კმაყოფილების კვლევის

ავტომატიზებული სისტემები უკვე არსებობს, რაც მნშვნელოვნად აადვილებს სამუშაოს შესრულების პროცესს.

- **სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის სანდო, ეფექტიანი და ავტომატიზირებული სისტემის დანერგვა**

ის ფაქტი, რომ კმაყოფილების კვლევა მიმდინარეობს ახალი სისტემის მეშვეობით არის დამადასტურებელი სისტემის წარმატებული დანერგვის. შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიებაც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, განხორციელებულია.

3. **საერთაშორისო ინსტიტუციური აკრედიტაციის გავლა ENQA და WFME მიერ აღიარებულ სააგენტოში**

ამოცანით გათვალისწინებულ ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2019 წლის აგვისტო.

- **თვითშეფასების ჯგუფის ფორმირება და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა**
- **ინფორმაციის მოგროვება და გასაუბჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და გაძლიერება**
- **თვითშეფასების დოკუმენტის ფორმირება და სააგენტოში გაგზავნა**
- **ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება**

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით ღონისძიებით გათვალისწინებული აქტივობები გეგმის მიხედვით იქნა შესრულებული.

ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება

აღნიშნული მიმართულება ევროპის უნივერსიტეტთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პრიორიტეტია, რადგან უნივერსიტეტი საკუთარი კორპორატიული ხედვის ფარგლებში უნივერსიტეტის ბრენდს განიხილავს, არა, როგორც სავაჭრო მარკას, არამედ როგორც ცოცხალ სიმბოლოს, რომელიც უპირველეს ყოვლისა უნდა ასოცირდებოდეს ხარისხიან განათლებასა და ევროპულ ღირებულებებთან. შესაბამისად, შეუძლებელია ბრენდის განვითარება მოხდეს მხოლოდ საზოგადოებრივი კომუნიკაციების გააქტიურებით. უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია, სასწავლო პროცესი კი წარმოადგენს სტუდენტისა და პროფესორის სინერგიული მუშაობის შედეგს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ბრენდის განვითარების ქვეშ მოიაზრებს ისეთ ელემენტს, როგორიცაა სტუდენტთა და პროფესორთა კონტიგენტის დაგეგმვა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის ბრენდის განვითარების სტრატეგიული მიმართულება ფოკუსირებული იყო შემდეგი ამოცანების შესრულებაზე:

1. **უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და დამკვიდრება ბაზარზე**

მოცემული ამოცანა მოიაზრებს კომპლექსური აქტივობების ერთობას, რომელიც სამოქმედო გეგმაში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

- **უნივერსიტეტის ბრენდის კონცეფციისა და პოზიციონირების გადახედვა და განახლება**

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის აღნიშნულ საკითხზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა. დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავებული იყო ბრენდის განვითარების კონცეფცია. სამსახურის რეორგანიზაციამ სამუშაო პროცესი გარკვეულწილად ამოაგდო გრაფიკიდან.

- **ბრენდის მახასიათებლების განვითარება (ლოგო, სლოგანი, ფერი და სხვა) - ლოგოს რეფრეშმენთისა და ბრენდბუქის შექმნა, ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტების, პრაქტიკის ცენტრებისა და სპორტული/კულტურული გუნდების ბრენდინგი**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განახლდა ლოგო, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კვლევითი ინსტიტუტების პრაქტიკის ობიექტების, სპორტული და კულტურული კლუბების ბრენდინგი და ცნობადობის ამაღლება. მიმდინარეობს ერთიან ბრენდბუქზე მუშაობა.

- **ვებსაიტისა და სოციალური ქსელების (Facebook, Instagram, LinkedIn, Youtube) მართვის კონცეფციისა და სტრატეგიის გადახედვა, განახლება**

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში განახლებულდა ვებსაიტისა და სოციალური ქსელების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია. პოლიტიკაზე და განახლებულ სტრატეგიაზე დაყრდნობით ხორციელდება შესაბამისი აქტივობები.

- **უნივერსიტეტის PR სტრატეგიისა და წლიური კალენდრის შემუშავება**

საანგარიშო პერიოდში შემუშავებულდა 2020 წლის PR და მარკეტინგული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

- **წარმატებული სტუდენტების, სტიპენდიანტების, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პესონალის, მოწვეული უცხოელი ლექტორების პოპულარიზაციის მიზნით სოციალური ქსელისა და სხვადასხვა ტრადიციული მედიასაშუალებში კამპანიების განხორციელება**

გაზრდილია უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტების, სტიპენდიანტების, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პესონალის, მოწვეული უცხოელი ლექტორების ცნობადობა,

ისევე როგორც დაინტერესებული მხარეების მიერ უნივერსიტეტის პოზიტიური აღქმა გაზრდილია. საჭიროა წარმატებული ისტორიების მეტი ინტენსივობით წარმოჩენა.

- **უნივერსიტეტში მიღწეული შედეგებისა და წარმატების წარმოჩენა ციფრებში - პროექტი "უნივერსიტეტი ციფრებში**

განხორციელდა კამპანია "უნივერსიტეტი ციფრებში". კერძოდ, წლიური ანგარიშის ფორმით მოხდა უნივერსიტეტის მიღწეული წარმატების ციფრებში წარმოჩენა. საჭიროა მეტი ინტენსივობით მიღწეული წარმატებების სამიზნე აუდიტორიამდე მიტანა.

- **უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახურის, ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტების, პრაქტიკის ცენტრების, ასევე, სპორტული/კულტურული გუნდების / წრეების საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება**

მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა სხვადასხვა ინსტიტუტების, სპორტული ცენტრების, მათ შორის მულაჟებისა და ლაბორატორიების პოპულარიზაცია, ძირითადად სოციალური ქსელების მეშვეობით. ასევე ადგილი ჰქონდა რამდენიმე სატელევიზიო ინტეგრაციას.

2. **უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებისა და დამატებითი საზოგადოებრივი სარგებლის შექმნისათვის საჭირო სისტემების გამართვა და დანერგვა**

მოცემული ამოცანა აერთიანებს ღონისძიებათა ერთობლიობას უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განაცხადის შესაბამისად.

- **უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ფარგლებში სამიზნე ჯგუფების განათლების ხელშეწყობისა და სოციალური პროექტების გეგმის შემუშავება განხორციელება**

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის აღნიშნული საკითხი დამუშავების აქტიურ ფაზაშია. დამაბრკოლებელ გარემოებად სახელდება სამსახურში განხორციელებული რეორგანიზაცია, რამაც გამოიწვია სამუშაო პროცესის წყვეტა.

- **ევროპის უნივერსიტეტში ან საზღვარგარეთ მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საგანმანათლებლო (მათ შორის, საერთაშორისო პროექტების, ენის კურსების, სასერტიფიკატო და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების) კურსების დაფინანსება/თანადაფინანსება მაღალი ქულების მქონე, აქტიური ან/და სოციალურად მოწყვლადი აბიტურიენტებისთვის/სტუდენტებისთვის**

ევროპის უნივერსიტეტი სისტემატურად აწვდის ექსტრაკურიკულარულ საგანმანათლებლო სერვისს (ენის კურსები) სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელ სტუდენტებს. აღნიშნული ხორციელდება ენებისა და კულტურის ცენტრის ბაზაზე.

- **მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL/) ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების განხორციელება და დაფინანსება/თანადაფინანსება**

აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტში დაფუძნებულია სწავლების ინოვაციური მეთოდების ცენტრი, გადამზადებულია ევროპელი კოლეგების (Central Eoropean Univesity და Salzburg University-ს პროფესორების მიერ) ცენტრის 12 ტრენერი, აღნიშნული ცენტრის ტრენერების მიერ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში გადამზადებულია ევროპის უნივერსიტეტის 50-მდე აკადემიური და მოწვეული პერსონალი და ცენტრის ფარგლებში შემუშავებულია 7 ტრენინგ მოდული. უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით

- **საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის პოპულარიზების მიზნით ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის დაფუძნება**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფუძნდა ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი. განხორციელდა ექსპონატების შეძენა. განხორციელდა ნიჩბისის ხევში არქეოლოგიური კვლევა-ძიება და შესაბამისი კამერალური სამუშაოები. დაფუძნდა და გამოიცა ისტორიულ - არქეოლოგიური ჟურნალი. დამზადდა მუზეუმში დაცული არტეფაქტების სასუვენირო ასლები.

ინოვაციური/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის ეფექტური სისტემის განვითარება და ადგილობრივ/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარება

აღნიშნული მიმართულება აერთიანებს ამოცანებს უნივერსიტეტშ სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, რადგან უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება გარდა ცოდნის გადაცემისა, ასევე არის ცოდნის გენერირება. ამოცანები წარმოდგენილია შემდეგი ფორმით:

1. **სამართლის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია**

მოიცავს შემდეგი ღონისძიებების ერთობლიობას:

- **სამეცნიერო ჟურნალის "სამართალი და მსოფლიო" რეიტინგის შემდგომი ამაღლება**

საანგარიშო პერიოდში ჟურნალს „სამართალი და მსოფლიოს“ მიენიჭა უნიკალური კოდი - DOI, ასევე გახდა პარტნიორი: Crossrerf (https://www.crossref.org/)

- **სამართლის კვლევების მიმართულებით შიდა დაფინანსების მოპოვება**

კვლევითი ინსტიტუტი ახორციელებს აქტიურ მუშაობას შედარებითი სისხლის სამართლის სახელმძღვანელოზე უნივერსიტეტის დაფინანსებით.

- **სამართლის კვლევების მიმართულებით განაცხადის წარდგენა საერთაშორისო და ადგილობრივი წყაროებიდან დაფინანსების მოსაპოვებლად**

ინსტიტუტის ძალისხმევის მიუხედავად, აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთ-ერთ გასაძლიერებელ, რა მიმართულებითაც მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილებული იქნას 2020 წლის სამოქმედო გეგმაში.

- **არსებული და ახალი საერთაშორისო კონფერენციების განხორციელება**

საანგარიშ პერიოდში ინსტიტუტის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ადგილობრივი ტრენინგი უცხოელი ექსპერტის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო კონფერენცია.

გამოიცა „სამართალი და მსოფლიოს“ მე-12 (სპეციალური) და მე-13 ნომრები.

2. **გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია**

სამართლის სამეცნიერო - კვლევითი მსგავსად, აღნიშნული ამოცანაც გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

- **ჟურნალის "გლობალიზაცია და ბიზნესი" რეიტინგის შემდგომი ამაღლება**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის მანძილზე ჟურნალი "გლობალიზაცია და ბიზნესი"გახდა პარტნიორი: Crossrerf (https://www.crossref.org/).

- **გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევების მიმართულებით შიდა დაფინანსების მოპოვება**

ინსტიტუტი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაფინანსების საფუძველზე ახორციელებს მიმდინარე კვლევით საქმიანობას.

- **გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევების მიმართულებით განაცხადების წარდგენა საერთაშორისო და ადგილობრივი წყაროებიდან დაფინანსების მოსაპოვებლად**

ინსტიტუტის ძალისხმევის მიუხედავად, აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთ-ერთ გასაძლიერებელ, რა მიმართულებითაც მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილებული იქნას 2020 წლის სამოქმედო გეგმაში.

- **არსებული და ახალი საერთაშორისო კონფერენციების განხორციელება**

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტმა განახორციელა II ეროვნული კონფერენციის ორგანიზება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად (13 სექტემბერი 2019 წ.) https://www.bsu.edu.ge/main/page/12973/index.htm.

3. **ინტერდისციპლინური და ინდივიდუალური კვლევების ინიცირების ხელშეწყობა**

მოცემული მიმართულება აერთიანებს პირველად ნაბიჯებს, რომლის გადადგმაც აუცილებელია იმისთვის, რომ სტრატეგიული განვიტარების გეგმის პერიოდში უნივერსიტეტმა შეძლოს მძლავრი კვლევითი მიმართულების განვითარება. ამოცანა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- **კვლევითი გრანტების შესახებ აკადემიური პერსონალის სისტემატური და ეფექტური ინფორმირების სისტემის დახვეწა და დანერგვა**

კვლევითი გრანტების შესახებ აკადემიური პერსონალის სისტემატური ინფორმირებაქ მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში.

მიუხედავად აღნიშნულისა, მიზანშეწონილია 2020 სამოქმედო გეგმაში მოხდეს აღნიშნული მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღონისძიებები, რომელიც ემსახურება არამხოლოდ პერსონალის ინფორმირებას, არამედ მათი ინიციატივების წახალისებას.

- **კადემიურ პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვა კვლევითი გრანტების მოპოვების მიზნით**

აღნიშნულიც, ისევე, როგორც წინა აქტივობა წარმოადგენს მიმდინარე პროცესს და აქვს პერიოდული ხასიათი. სასურველია, მოცემული მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება. არსებული სურათიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღნიშნულმა ღონისძებამ შეიძინოს სისტემური, ინსტიტუციონალიზებული ხასიათი.

- **უნივერსიტეტის არსებული ადამიანური რესურსების კვლევით-სამეცნიერო პოტენციალის შეფასება და შესაბამისი ჯგუფების შექმნა კვლევით -სამეცნიერო გრანტების მოპოვების ინიცირებისათვის**

სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფრომაციის საფუძველზე უკვე გამოკვეთილია ცალკეულ ფაკულტეტებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯგუფები, რომლებიც იმუშავებენ სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მოპოვებაზე. აღნიშნულის ვერიფიცირება ხდება სხვა წყაროებითაც.

- **სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და თანამშრომლობა**

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან: რეოლოგიის ასოციასთან და სმენის რეაბილიტაციის ცენტრ, ფონდ "აი ია"-სთან.

4. **კვლევით საქმიანობაში სტუდენტებისა და საერთაშორისო მეცნიერების ჩართვის სტიმულირება**

მონიტორინგის პროცესმა აჩვენა, რომ მიზანშეწონილია აღნიშნული კომპონენტები ერთმანეთისგან გაიმიჯნოს და ცალკე ამოცანებად გაიწეროს საერთაშორისო მეცნიერების ჩართვა (ინტერნციონალიზაციის ნაწილში) და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. ამ ეტაპზე კი მოცემული ამოცანა შემდეგ ღონისძიებებს გულისხმობს:

- **კვლევით საქმიანობაში სტუდენტებისა და საერთაშორისო მეცნიერების ჩართვის წახალისების მექანიზმის შემუშავება და განხორციელება**

კვლევით საქმიანობაში სტუდენტებისა და საერთაშორისო მეცნიერების ჩართვის წახალისება მიმდინარეობს საერთაშორისო კონფერენციების გამართავით და დაფუძნდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების ჟურნალი: BIOMEDICAL AND CORE CLINICAL RESEARCH PRACTICE სადაც იბეჭდება სტუდენტების მიერ წარმოდგენილი საუკეთესო სტატიები.

- **პროექტის "საუკეთესო მკვლევარი სტუდენტის" განხორციელება და პოპულარიზაცია**

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მონიტორინგის პერიოდისთვის განხორციელების ფაზაში იყო. საუკეთესო მკვლევარი სტუდენტის გამოვლენა მოხდა გასული წლის 25 დეკემბერს.

5. **მედიცინის მიმართულებით კვლევითი საქმიანობის განვითარება**

მედიცინის ფაკულტეტი წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის ერთ-ერთ წამყვან ფაკულტეტს. შესაბამისად აღნიშნულ მიმართულებაზე სამეცნიერო კვლევითი მუშაობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რათა უნივერსიტეტმა შეძლოს მისიით დეკლარირებული მიზნების მიღწევა სწავლების სამივე საფეხურზე პროგრამების განვითარებისა და განხორციელების თვალსაზრისით.

აღნიშნული ამოცანა შემდეგ ღონისძიებებს მოიცავს:

- **სამედიცინო ჟურნალის დაფუძნება და რეიტინგის მოპოვება**

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მედიცინის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად მიმდინარეობდა მუშაობა ყდაზე, ასევე სარედაქციო კოლეგიის დამოკმპლექტებისა და ნაშრომების მოძიების მიმართულებით.

- **მედიცინის მიმართულებით კვლევითი პოტენციალის შეფასება და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა**

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა კონკურსი და დაფინანსდა ორი კვლევითი პროექტი. მიუხედავად აღნიშნულისა ფაკულტეტს არ აქვს განსაზღვრული კონკრეტული კვლევითი პრიორიტეტები, რაც შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ-ერთ დამაბრკოლებლად მოცემული მიმართულებით კვლევითი საქმიანობის განვითარების თვალსაზრისით.

- **გამოყენებითი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ინიცირება განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად**

კონკრეტული პრიორიტეტების არ არსებობა ასევე აფერხებს მოცემული ღონისძიების განხორციელებასაც, თუმცა მედიცინის ფაკულტეტის მიერ მონიტორინგის პროცესში მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ასეთი სავარაუდო მიმართულება იქნება ტექნოლოგიები.

- **კვლევების მიმართულებით შიდა დაფინანსების მოპოვება**

საანგარიშო პერიოდში შიდა დაფინანსება მიოპოვა 2-მა პროექტმა: "სისხლძარღვშიდა და სისხლძარღვთა ფაქტორების კომპლექსური შესწავლა ახალგაზრდებში სისხლის დენადობის დადგენის მიზნით", ბიუჯეტი 20 000 ლარი, ხანგრძლივობა 12 თვე, პროექტის ხელმძღვანელი მაია მანწკავა.

„ონკოლოგიურ პაციენტებში ქიმიოთერაპიის შემდგომ ყელის სიმშრალის მკურნალობა პრეპარატი ისლა მინტით“.ბიუჯეტი 13 900 ლარი. ანგრძლივობა 6 თვე, თინათინ გოგნაძე და შორენა წიკლაური.

6. **განხორციელებული სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაცია**

აღნიშნული ამოცანა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- **კომერციალიზაციის სტრატეგიის შემუშავება**
- **ბაზრის კვლევა და სამეცნიერო კვლევით პროდუქტზე არსებული მოთხოვნის გამოვლენა**
- **არსებული სამეცნიერო პროდუქტების პოპულარიზაცია კომერციალიზაციის მიზნით**

საანგარიშო პერიოდში არც ერთი ზემოთხსენებული ღონისძიება არ განხორციელება. ორ შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ დასახელდა

მულტიდისციპლინური მიდგომის და სამუშაო შეხვედრების აუცილებლობა, ხოლო მესამე შემთხვევაში - სამეცნიერო პროდუქტის არ არსებობა.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტმა უპირველეს ყოვლისა ძირითადი აქცენტი უნდა გააკეთოს არსებული სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებასა და გაზარდოს კვლევითი პროდუქტის რაოდენობა. შესაბამისად, სასურველია მოხდეს კომერციალიზაციის პროცესის დაწყება 2021 წლიდან. მანამდე კი გრადუალურად მივიდეს უნივერსიტეტი კომერციული თვალსაზრისით საინტერესო კვლევითი პროდუქტის შექმნამდე. აღნიშნული საჭიროებს თავის მხრივ სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერების პარალელურად კომერციალიზაციის სტრატეგიის გაწერასა და ბაზრის კვლევებს, რასაც ჭირდება არსებული მიდგომების გადახედვა. უპირველეს ყოვლისა სასურველია გაძლიერდეს უნივერსიტეტის ანალიტიკური პოტენციალი და აღნიშნული გაიწეროს 2020 წლის სამოქმედო გეგმაში.

7. **განხორციელებული კვლევების შედეგად დაგროვებული ცოდნის სასწავლო პროგრამებსა და პროცესებში ადაპტირება**

აღნიშნული ამოცანა მოიცავს შემდეგ ღონისძებებს:

- **კვლევების შედეგად დაგროვებული ცოდნის ინტეგრირება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში**
- **კვლევების შედეგად დაგროვებული ცოდნის გაზიარება საგანმათანლებლო - სამეცნიერო და პრაქტიკული წრეებისათვის მათ საქმიანობაში ინტეგრირების მიზნით.**

არც ერთი ზემოთხსენებული ღონისძიება არ განხორციელებულია საანგარიშო პერიოდში. შესაბამისად მიზანშეწონილია მოხდეს, არამხოლოდ კვლევითი, არამედ სამეცნიერო საქმიანობის შედეგად შექმნილი პროდუქტების (სამეცნიერო სტატიები) ინკორპორირება სილაბუსებში პროგრამების მიხედვით.

პირველ ღონისძიებასთან დაკავშირებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მხრიდან წარმოდგენილია შემდეგი სახის ინფორმაცია: „ჯერ დადებულია მხოლოდ ერთი კვლევის შედეგი, თუმცა პროფესორი ირინე სახელშივილი წყვეტს კონტაქტს ევროპის უნივერსიტეტთან. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ მედიცინის ფაკულტეტის უცხოელი, განსაკუთრებით მამრობითი სქესის სტუდენტები იმყოფებიან ძილის პრობლემებისა და ფსიქო-ქცევითი დარღვევების განვითარების მაღალი რისკის ქვეშ. წარმოდგენილი კვლევა საპილოტეა და იგეგმება მისი გაგრძელება ფართო სამიზნე ჯგუფის მოცვის მიზნით. მტკიცებულებები ადასტურებს, რომ აუცილებელია სტრესის მენეჯმენტისა და პრევენციისაკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა უნივერსიტეტებში, განსაკუთრებით უცხოელ სტუდენტებზე ორიენტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.“

8. **უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის შეფასება და ახალი სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა**

კვლევითი პოტენციალის შეფასების ინდიკატორად წარმოდგენილი იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული თვიშეფასება, თუმცა არ ყოფილა წარმოდგენილი აღნიშნული თვითშეფასების ანალიზი, იდენტიფიცირებული მიმართულებები და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროფილები. აღნიშნულიდან გამომდინარე ამოცანა შეგვიძლია ჩავთვალოთ ნაწილობრივ შესრულებულად.

სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება

სტუდენტური გარემოსა და სერვისების განვითარება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რამდენადაც იგი გულისხმობს არამხოლოდ სტუდენტური სერვისების დახვეწას, არამედ სტუდენტებში უნივერსიტეტის ღირებულებების გატანას, იმ ფასეულობებისადმი პატივისცემის გაღვივებას, რაზეც დგას ევროპის უნივერსიტეტი.

აღნიშნული მიმართულება შემდეგ ამოცანებს მოიცავს:

1. **სტუდენტის დემოკრატიული საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბების ხელშეწყობა**

მოცემული ამოცანა აერთიანებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია სტუდენტებში გააღვივოს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და პატივისცემა ზოგადსაკაცობრიო, ევროპული და დემოკრატიული ფასეულობების მიმართ. ღონისძიებები შემდეგი სახითაა გაწერილი:

- **სტუდენტური ბლოგების პლატფორმის ფორმირება**

აღნიშნულის განხორციელება ვერ მოხერხდა საანგარიშო პერიოდში, რისი სავარაუდო მიზეზიც იყო სტუდენტთა დაბალი ინტერესი მოცემული აქტივობისადმი. შესაბამისად, მიზანშეწონილია გაიზარდოს ძალისხმევა აღნიშნული მიმართულებით შემდეგ საანგარიშო პერიოდში.

- **სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში სტუდენტების ჩართულობის სტიმულირება**

საანგარიშო პერიოდში ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს USAID-ის დებატებში ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ასევე

პასუხობს უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განაცხადის გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ნაწილს.

- **სტუდენტების მიერ სამიზნე ჯგუფებში (შშმ პირები, პაციენტები, სოციალურად დაუცველები და სხვა.) მათი უფლება-მოვალეობების შესახებ ცნობიერების ამაღლების აქტივობების განხორციელება**

აღნიშნულის განხორციელება ვერ მოხერხდა საანგარიშო პერიოდში, რისი სავარაუდო მიზეზიც იყო სტუდენტთა დაბალი ინტერესი მოცემული აქტივობისადმი. შესაბამისად, მიზანშეწონილია გაიზარდოს ძალისხმევა აღნიშნული მიმართულებით შემდეგ საანგარიშო პერიოდში.

- **პროექტის "მსოფლიო დღეების კალენდარი" განხორციელება**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ღონისძიება წარმატებით განხორციელდა.

2. **საინფორმაციო სერვისების განვითარება**

მოცემული ამოცანა გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

- **ფაკულტეტებზე სტუდენტებთან კომუნიკაციის ერთიანი სტრატეგიის შემუშავება**

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობის ფარგლებში:

1. გაიმართა Welcome ღონისძიება ქართველი სტუდენტებისთვის

2. გაიმართა Welcome ღონისძიება უცხოელი სტუდენტებისთვის

3. გაიმართა ექსკურსია ბორჯომი-ახალციხე

4. ქართველმა და უცხოელმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს Diwali-ს ფესტივალში

5. ევროპის უნივერსიტეტმა თანაორგანიზატორობა გაუწია Diwali-ს ფესტივალს

5. უნივერსიტეტში გაიმართა ვეგეტარიანული საკვების ფესტივალი.

ამასთანავე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი აქტიურად ახორციელებს სტუდენტების ინფორმირებას უნივერსიტეტში დაგეგმილი ცალკეული ღონისძებების შესახებ.

- **მედიცინის ფაკულტეტზე ჯგუფებში კომუნიკატორების ინსტიტუტის დანერგვა**

აღნიშნული ღონისძიება წარმატებით შესრულდა.

3. **სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშეწყობა**

აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა დასაქმების საშუალო მაჩვენებელი ნამდვილად ტოვებს უკეთესის სურვილს, შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობას.

ამოცანა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- **სტუდენტების/კურსდამთავრებულების კარიერული საჭიროებების განსაზღვრა**

აღნიშნული მიმართულებით დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს სტუდენტთა პროცესში ჩართულობის დაბალი ხარისხი.

- **სტუდენტებისთვის/კურსდამთავრებულთათვის კარიერული მზადყოფნის კომპეტენციის გაზრდა ვორქშოფების, მასტერკლასების, ტრენინგების და სემინარების საშუალებით**

საანგარიშო პერიოდში სტუდენტებმა, უნივერსიტეტის ხელშეწყობით, მონაწილეობა მიიღეს დასაქმების ფორუმში, ასევე გაიარეს სხადასხვა მასტერკლასი და ტრენინგ კურსი.

- **დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტთა /კურსდამთავრებულთა ინდივიდუალური კონსულტაციების სისტემის აწყობა**

საანგარიშო პერიოდში საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 150-მდე სტუდენტს. ცენტრი მათ დაეხმარა რეზიუმეს შედგენაში, ასევე ცენტრის დახმარებით სტუდენტები/კურსდამთავრებულები დაუკავშირდნენ დამსაქმებელს და გაიარეს გასაუბრება.

- **დამსაქმებლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება**

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ დროისთვის, გამოქვეყნებულია 700-ზე მეტი ვაკანსია. დასაქმებულია 50-მდე სტუდენტი. დამსაქმებელთან გასაუბრება გაიარა 150-მდე სტუდენტმა.

- **უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განახლების პროცესში დამსაქმებელთა ჩართვის ხელშეწყობა**

გაიმართა შეხვედრები (ბიზნეს ვახშამი) შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების დამსაქმებლებთან: ინფორმატიკა, სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, სტომატოლოგია, ბიზნესის ადმინისტრირება.

შეხვედრის ფარგლებში უნივერსიტეტმა პოტენციურ დამსაქმებელს გააცნო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სასწავლო გეგმა და მოისმინა მათი რეკომენდაციები. პოტენციურმა დამსაქმებლებმა შეავსეს პროგრამების შეფასების კითხვარები.

- **დამსაქმებლებიდან დასაქმებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შესახებ უკუკავშირის მიღების სისტემის აწყობა**

აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, რადგან ღონისძიების წარმატებული განხორციელება დამოკიდებულია ასევე დამსაქმებლის გადაწყვეტილებაზე.

- **სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება**

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი საკომუნიკაციო პლატფორმები: ელექტრონული ფოსტის ბაზები, სმს შეტყოინება, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები, სასწავლო ბაზა.

- **მონაცემთა ბაზების მოდერნიზება და სისტემატიზება**

პროცესი არის რუტინული და მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

4. **მრავავალფეროვანი და საინტერესო სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფა**

აღნიშნული ამოცანა აერთიანებს სტუენტური სპორტული, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძებების ერთობლიობას. აღსანიშნავია, რომ ყველა ღონისძიება სადაც კი არსებობდა სტუდენტთა დაინტერესება წარმატებით ხორციელდება და ამ მიმართულებით სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მოსმახურების ცენტრი სრულად ართმევს თავს დასახულ ამოცანას.

5. **სტუდენტური გარემოსა და სივრცეების განვითარება**

გულისხმობს შემდეგ ღონისძებას:

- **სტუდენტებისათვის კომფორტული სამუშაო სივრცეების, მოსასვენებელი ზონების, გასართობი სივრცეების მოწყობა და გარემოს ადაპტირება**

აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. დაგეგმილია ბიბლიოთეკის გაფართოება, ასევე კაფეტერიის გატანა უნივერსიტეტის გარეთ.